

უაკ 78.02

## ვერბალური ტექსტი მაკა ვირსალაძის შემოქმედებაში

ლევან გომელაური  
დოქტორანტიხელმძღვანელი: სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოც. პროფ. ე. ჭაბაშვილი  
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია გრიბოედოვის 8, 0108, თბილისი, საქართველო

*ანოტაცია:* სტატიის ავტორი ეხება თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის მაკა ვირსალაძის შემოქმედებას, სადაც განიხილავს ვერბალური ტექსტის გამოყენების ხერხებს. სტატიაში წარმოჩენილია კომპოზიტორის ინდივიდუალური ხედვა და მისი მიდგომა ვერბალური ტექსტის, როგორც საკომპოზიციო ტექნიკის შემადგენელი ნაწილის მიმართ.

*საკვანძო სიტყვები:* საკვანძო სიტყვები: მაკა ვირსალაძე, მაია ვირსალაძე, ვერბალური ტექსტი, საკომპოზიციო ტექნიკა, ფონემა, მარცვალი, სიტყვა, ტექსტი, ვარსკვლავები, ფრთები, აფორიზმები, რომანსები, ფსალმუნები.

მაკა ვირსალაძე 90-იანელთა თაობის „ახალი“ ქართული მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. საკუთარ შემოქმედებაში ვერბალური ტექსტის გამოყენებისას უპირატესობას სიტყვის ფენომენს ანიჭებს. კომპოზიტორისთვის თითოეულ სიტყვას აქვს პირველ რიგში ფონეტიკური დატვირთვა. ავტორის ძირითადი ამოცანაა სიტყვა ჟღერადობის მიხედვით შეესაბამებოდეს კომპოზიციის ხმოვანებას, მათ შორის მუსიკალურ-დრამატურგიული თვალსაზრისითაც. მაგალითად, კულმინაციური მომენტების დროს ის დაძაბული ფონეტიკური თვისებების ხმოვანებებს ირჩევს. ასევე თითოეულ სიტყვას აქვს „სიმბოლოს“ დატვირთვა. მსმენელის აღქმას სთავაზობს კონკრეტულ განწყობას სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა ავტორის ინტერპრეტაციით, რასაც მუსიკალური ენა/კატეგორიები უწყობს ხელს. კომპოზიტორს ამ ხერხებისთვის ბევრ ნაწარმოებში მიუძღრთავს. ჩვენ განვიხილავთ მაკა ვირსალაძის "Stars", "Two Wings", "აფორიზმები", "ფსალმუნები", "კომპოზიციები ხმისა და ფორტეპიანოსთვის".

\* \* \*

მაკა ვირსალაძის "Stars" (ვარსკვლავები) დაწერილია ხმის, ფლეიტის, თეფშებისა და ტომტომებისთვის (2001). ნაწარმოები ასევე შესაძლოა შესრულდეს ერთი შემსრულებლის მიერ ტექსტის გარეშე, რომელსაც ძირითადად ფლეიტისტები ასრულებენ. ისევე, როგორც მის სხვა კომპოზიციებში, ხსენებული ნაწარმოების იდეა ვერბალურ ტექსტთან არის დაკავშირებული. ნაწარმოებში გამოყენებულია ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური, და ფრანგული სიტყვები. კომპოზიტორი ჩამოთვლილი ენიდან ირჩევს სიტყვებს და ცდილობს თითოეული ენიდან არჩეული სიტყვები სხვადასხვა ასპექტს დაუკავშიროს. ამიტომ მათი გამოყენება სხვადასხვა მიზანს ემსახურება..

სიტყვების არჩევა ხდება კრიტერიუმებით:

- ა) სიტყვის ჟღერადობა რამდენად გამოხატავს ენის ჟღერადობის სპეციფიკას.
- ბ) სიტყვის ჟღერადობა ესადაგება თუ არა მუსიკალურ იდეას.

გ) სიტყვის შინაარსი, რამდენად შეესაბამება კომპოზიტორის მუსიკალურ ჩანაფიქრს.

შესაბამისად სხვადასხვა ენიდან ამორჩეულ ცალკეულ სიტყვებს განსხვავებული დატვირთვა გააჩნიათ:

ა) ერთ შემთხვევაში სიტყვები ფონეტიკურ დატვირთვას ატარებენ, რაც მოცემული ენის აკუსტიკურ სპეციფიკას გამოხატავს და შეესაბამება ლინგვისტური ენის ჟღერადობის საერთო აღქმას.

ბ) მეორე შემთხვევაში ავტორისთვის მნიშვნელოვანია ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა სემანტიკური თვალსაზრისით.

გ) უკეთეს შემთხვევაში კი სიტყვის ჟღერადობა და მნიშვნელობა თანაბრად საინტერესოა ავტორისთვის, რაც ქმნის დატვირთვათა კომბინაციას.

კარგ მაგალითს წარმოადგენს სიტყვა "ეწიგკეიტ" (მარადისობა) გერმანულ ენაზე, რომელიც ავტორისთვის ამ ენის და ერის უკვდავი სიღრმისეული ღირებულებების მიმართ განწყობას გამოხატავს და გერმანული ენის ჟღერადობის სპეციფიკასაც შეესაბამება.

'შკითხველი' (ხმა) კითხულობს სიტყვებს 'შპრეცესტიმმე'-ს ტექნიკით მოცემული მიახლოებითი ბგერათსიმალეების გათვალისწინებით.

ქართული ენიდან გამოყენებულია სიტყვა 'ვარსკვლავები' სწორედ ამიტომ ნაწარმოებს ექვია "Stars".

მაგალითი 1

Moderato      liberamente

\* >

Voice

var - skvla - ve - bi -

Detailed description: A musical staff for voice in treble clef. The tempo markings 'Moderato' and 'liberamente' are positioned above the staff. A star symbol (\*) and an accent (>) are placed above the first note. The melody consists of a series of notes with stems pointing down, followed by a rest. Below the staff, the lyrics 'var - skvla - ve - bi -' are written.

რუსული ენიდან გამოყენებულია "ვეწერ", "სნეჟოკ".

მაგალითი 2

43

ve-ter ve-ter ve-ter ve-ter      sne-jok sne-jok

Detailed description: A musical staff in treble clef starting at measure 43. The melody is a rhythmic sequence of notes with stems pointing down. There is a double bar line in the middle. Below the staff, the lyrics 've-ter ve-ter ve-ter ve-ter sne-jok sne-jok' are written.

გერმანული ენიდან გამოყენებულია "ევოგ", "გეენ", "ბლაიბენ".

მაგალითი 3

64  
Cym

64  
Voice  
E - wig

73  
Fl

73  
Cym

73  
Voice  
ge - hen blei - ben

ასევე გერმანული ენიდან ამორჩეული სიტყვების `დარ(ღ)უმ~, `დაჰინ~, `დაჰერ~, `ვარ(ღ)უმ~ ჟღერადობა `ბრუნავს~ (ვგულისხმობთ აკუსტიკურ ეფექტს) ცვალებადი თანმიმდევრობით. ამ დროს ჟღერადობაში აკუმულირდება ცალკეული ფონემები და მარცვლები. მაგალითად ფონემები - "დარ(ღ)უმ", "ვარ(ღ)უმ"; მარცვლები - "დარ(ღ)უმ", "დაჰინ", "დაჰერ", ან "დარ(ღ)უმ", "ვარ(ღ)უმ". განსხვავებული მარცვლები კი ხელს უწყობს ცვალებად დინამიკას - "დაჰინ", "დაჰერ".

მაგალითი 4

Da - runda - hin da - hewa - runda - runda - runda - hin

ინგლისური ენიდან გამოყენებულია: "ვეივ", "ლეივ", "ბიჩ", "ფაიერ"

მაგალითი 5

wa - ve la - ke beach fi - re

"ფლეიმ", "ლაით", "ვეივზ".


მაგალითი 6



ინგლისური ენიდან გამოყენებული სიტყვებიც მსგავს დინამიკას ექვემდებარება, როგორც გერმანული სიტყვები. მაგალითად, "ვეივ", "ლეიკ", "ფლეიმ", "ვეივზ" სიტყვების წარმოთქმით ერთიდაიგივე ფონემები აქტიურდება.

ფრანგული ენიდან გვხვდება:

მაგალითი 7



ნაწარმოების ჟღერადობაში მთხრობელი გვხვდება ცალკეც და ინსტრუმენტული ანსამბლის სონორშიც. რადგან ნაწარმოები წარმოადგენს მონოდრამას და ერთი შემსრულებლის მიერ სრულდება, შემსრულებელი ხდება ანსამბლური სონორის შემქმნელიც.

\* \* \*

როგორც ვხედავთ კომპოზიტორი ინდივიდუალურად და ორიგინალურად აღიქვავს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტული სიტყვის შინაარსს, განწყობას, ჟღერადობას. ამ მხრივ გამორჩეულია კიდევ ერთი ნაწარმოები **"Two Wings"** (2001 წელი) ნიშნავს ორი ფრთა ან ფრთები, დაწერილია ვიოლინოსა და ბაიანისთვის. ნაწარმოებში გამოყენებულია ალექსანდრ ბლოკის სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებიდან ავტორის მიერ ამორჩეული სიტყვები და პოეტური ფრაზები, რომელსაც აჟღერებენ თვითონ ინსტრუმენტალისტები (ვიოლინო, ბაიანი). შერჩეული ტექსტი შინაარსის შესაბამისად განაწილებულია სხვადასხვა "ბლოკში" - რაც ასოცირდება მწერლის გვართან (ბლოკი).

თითოეული "ბლოკისთვის" შერჩეული ფრაზები ჟღერადობით ჰგვანან ერთმანეთს და სხვა "ბლოკის" ფრაზათა ჟღერადობისგან განსხვავდებიან, რაც კომპოზიტორის მიერ განგებაა გაკეთებული ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრიდან გამომდინარე.

მაგალითად, ერთ 'ბლოკში' გამოყენებულია სიტყვები "чёрный ветер; белый снег; вешный трепет", სადაც ფრაზებში - სიტყვების; სიტყვებში - მარცვლების; მარცვალეში -

ხმოვანთა თანმიმდევრობა ქმნის ჟღერადობით მსგავსებას. მაგალითად ხმოვანთა თანმიმდევრობა - პირველ ფრაზაში "ე, ი, ე, ე"; მეორე ფრაზაში "ე, ი, ე"; მესამე ფრაზაში "ე, ი, ე, ე".

მაგალითი 8

cher - nii ve - cher - - - - - vesh - nii tre - pet  
vesh - nii tre - pet

be - lii sneg

3

ანალოგიური ჟღერადობრივი მსგავსების ვარიანტია გამოყენებული მეორე "ბლოკში", სადაც გვხვდება ფრაზები: "тиш и мгла; два крыла; ты пришла".

მაგალითი 9

tish i mгла dva kri - la

3

ti pri - shla,

ჟღერადობითი განსხვავებით ისევე, როგორც შინაარსობრივად 'ბლოკები' ერთმანეთთან ქმნიან კონტრასტს, რაც უკვე სათაურშივე ვლინდება – ორი ფრთა, როგორც კონტრასტი და ამავე დროს საწინააღმდეგოთა ერთიანობა, ისევე როგორც ინი და იანი, მარჯვენა და მარცხენა ხელი და სხვა.

კონტრასტის პრინციპზე მუსიკალური დრამატურგიის აგება დამახასიათებელია მაკა ვირსალაძის შემოქმედებისთვის, ის აღნიშნულ ხერხს სხვა ნაწარმოებებშიც მიმართავს.

ამ ნაწარმოებში ვერბალური ნაწილის წარმოთქმა სხვა ფუნქციითაც იჩენს თავს, როდესაც სიტყვა იქცევა ფონად; ტექსტის გაჟღერებით იქმნება ფრაზათა ჟღერადობის და შინაარსის შესაბამისი განწყობა, რაც ერთიანდება ინსტრუმენტებთან სონორში. ამ ფუნქციით ხმა წარმოდგენილია, როგორც ანსამბლის შემადგენელი, თანაბარმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.N

საგულისხმოა, რომ კომპოზიტორმა, თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად შემსრულებლებს მისცა თავისუფლება დეკლამაციაში. მათ შეუძლიათ გააკეთონ ტემპის, დინამიკის, ტექსტის წარმოთქმის მანერის ინტერპრეტაცია.

\* \* \*

კიდევ ერთი ნაწარმოები, სადაც კონტრასტის პრინციპი დიდ როლს თამაშობს არის **აფორიზმები**, (1998წ.). რომელიც დაწერილია ერთმაგი ორკესტრისთვის. კომპოზიტორმა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნიდან" შეარჩია სტროფები. შერჩეული სტროფები შინაარსით უპირისპირდებიან ერთმანეთს. შერჩეული სტროფებით ხდება კეთილის და ბოროტის, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების ორი მხარის წარმოჩენა. შემდეგ გვხვდება სულიერი ღირებულების გადმომცემი შინაარსის მატარებელი სტროფები, რაც წინამდებარე სტროფებთან შედარებით (კეთილის და ბოროტის გამომხატველ) უპირატესია თავისი მნიშვნელობით (ავტორის ხედვით).

ნაწარმოების მუსიკალური ფორმა განაპირობებს ტექსტის მიმდევრობას, რომელიც ისევ და ისევ კონტრასტის პრინციპითაა დაწყობილი, რაც ამავედროულად ნაწარმოების იდეას, კონცეფციას წარმოადგენს. ამ დროს შინაარსობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვნება იქმნება პროცესიდან გამომდინარე. მაგალითად, ამქვეყნიური ცხოვრების ორი მხარის (კეთილის და ბოროტის) წარმომჩენია სტროფები "გული კრულია...", "მიჯნურობა არის ტურფა", ხოლო სულიერების წარმომჩენი "რასაცა გასცემ შენია...", "სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა..."...

სტროფთა ჟღერადობა წარმოაჩენს სიტყვების ფონეტიკურ რესურსს, რაც გარკვეულწილად მუსიკალური ჟღერადობის დინამიკაში დიდ როლს თამაშობს.

\* \* \*

ჩვენთვის ასევე საინტერესოა მაკა ვირსალაძის კომპოზიციები ხმისა და ფორტეპიანოსთვის, როგორც ავტორი არქმევს, რომლებშიც ტექსტთან ურთიერთობის თვალსაზრისით საერთო მიდგომა აღინიშნება. ასეთებია "ტრიპტიხი", "სირენას სიმღერა", "გაზაფხულის საღამო", "ვერის ხიდზე", "სონეტი ლოცვის" და სხვა...

კომპოზიტორი აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებებზე მუშაობისას ცდილობდა მოეძებნა ინსტრუმენტით და ადამიანის ხმით ხმოვანების გამოხატვის ახლებური ხერხები.

გამოეცადა შესრულების სხვადასხვა ვარიანტი. ზოგჯერ იდეა იძლეოდა ხმოვანების გამოცდის ახალ საშუალებას, ხან კი პირიქით, ხმოვანება წარმოადგენდა ინსპირაციის წყაროს.

**"სირენას (სირინოზის) სიმღერაში"** (1994 წელი, გრიგოლ რობაქიძის ტექსტზე) ავტორი ეძებს იდეის შესაბამის ხმოვანებებს. სწორედ ამ მიზნით განწყობისთვის იყენებს ფონემებს სსსს, შშსსსსს. ავტორის თქმით, ეს ჟღერადობები შეიძლება ზღვის ტალღის ხმას შეადარო. ავტორისთვის მნიშვნელოვანია ვოკალის და ინსტრუმენტის ურთიერთობაც. კომპოზიტორის თქმით ვოკალისა და ინსტრუმენტის ურთიერთობისას მნიშვნელოვანია არა ინსტრუმენტის მიბაძვა და მისი ჟღერადობის იმიტირება, არამედ ინსტრუმენტის ჟღერადობით შექმნილი განწყობის მიღწევა ხმის კატეგორიით.

კომპოზიტორისთვის მნიშვნელოვანია ვერბალური ტექსტის აჟღერების სხვადასხვა ხერხით მიიღოს მისთვის სასურველი განწყობა. ვოკალური შესრულების ხერხთა სიმრავლით გამოირჩევა კომპოზიციები - **"ტრიპტიხი"** და **"გაზაფხულის საღამო"**.

**"ტრიპტიხი"** (1994წ.) დაწერილია ტერენტი გრანელის ლექსზე, სადაც სიტყვებიდან ამოკრეფილია ცალკეული მარცვლები, თანხმოვნები. გამოყენებულია ვერბალური ტექსტის წარმოთქმის სხვადასხვა ხერხი:

- 1) ჩურჩული - ყველაზე დაბალი ბგერა ჩურჩულით;
- 2) ვიბრირება პირის დახმარებით და არა ყელით;
- 3) სტვენა - გაურკვეველი ბგერის სტვენა;
- 4) ბგერის სიმღერა იქამდე სანამ არ გაქრება

აღნიშნული საშემსრულებლო ხერხების მისანიშნებლად ავტორი იყენებს თანამედროვე ნოტაციის ნიშნებს.

მსგავს ტექნიკას ვხვდებით კომპოზიციაში **"გაზაფხულის საღამო"**, სადაც ვერბალური ნაწილის ასაჟღერებლად გამოყენებულია სხვადასხვა ხერხი: "Sprechgesang", "ჩურჩული"...

ნაწარმოებში გამოყენებულია მიკროტონებში სიმღერაც. ვოკალისტი მღერისას ახდენს ბგერის ამალვებას 1/4 ტონით ან ბგერის დადაბლებას ასევე 1/4 ტონით, რაც ზემოქმედებს ფონემის ჟღერადობის ხასიათზეც.

ასევე შემსრულებლებს (ვოკალი, ფორტეპიანო) მიცემული აქვთ ალექტორული კვადრატები, რომლებიც უნდა გააჟღერონ ერთზე მეტჯერ - ოღონდ არაუმეტეს ხუთი გამეორებისა.

\* \* \*

მაკა ვირსალაძის **"ფსალმუნები"** დაწერილია 1995 წელს სიმფონიური ორკესტრისა და გუნდისთვის. კომპოზიციაში წარმოდგენილია 21 ფსალმუნი, რომლებიც დაწერილია დავითის ფსალმუნების მიხედვით (I-1; II-15; III-16; IV-14; V-21; VI-12; VII-13; VIII-22; IX-23; X-26; XI-27; XII-38; XIII-35; XIV-36; XV-41; XVI-39; XVII-40; XVIII-42; XIX-49; XX-48; XXI-50.). ისევე როგორც დავითის ფსალმუნებშია მითითებული თითოეული ფსალმუნისთვის განსხვავებული ინსტრუმენტი/ები, ასევე მაკას "ფსალმუნებშიც" ყოველ ფსალმუნს გააჩნია მისთვის ინდივიდუალური შემადგენლობა, რითაც ითვალისწინებს ძველი ფსალმუნის ჟანრისთვის დამახასიათებელ თვისებას; განსხვავებით, თუნდაც სტრავინსკის ფსალმუნებისგან, რომელიც წარმოადგენს სიმფონიას.

ჩვენი თემიდან გამომდინარე გვინტერესებს გუნდის პარტიაში გაჟღერებული ვერბალური ტექსტის გამოყენების ხერხები.

ტექსტი დაშლილია მარცვლებად და განაწილებულია გუნდის ხმებში. ხშირად გუნდის თითოეული ხმა დივიზის საშუალებით დაშლილია სოლო მომღერლებად, რომლებიც ტექსტს მღერიან მარცვლების დანაწილებით. ამ ხერხების გამოყენება გვაძლევს რამოდენიმე აკუსტიკურ ეფექტს:

1) გუნდის ხმებში მარცვლების დანაწილებით სივრცეში ტექსტის გაჟღერება გვაძლევს მუსიკალური მოზაიკის ეფექტს.

2) გუნდის ხმათა სოლისტებად დაშლით ვიღებთ ტექსტის მოძრაობას სივრცეში, რაც ქმნის სპეციფიკურ აკუსტიკურ ეფექტს.

3) ასევე სოლისტების მიერ ტექსტის გაჟღერებით, ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მედავითნეები კითხულობენ ტექსტს.

ნაწარმოებში ვხვდებით ტექსტის გაჟღერების სხვა ხერხებსაც. ერთი ხმის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომელსაც მეორე ხმა იმეორებს. იქმნება ერთგვარი გადაძახილის ეფექტი. მაგალითად XIII ფსალმუნში ბარიტონის მიერ მკითხველის ფუნქციით წაკითხულ "ისმინე"-ს იმეორებს სოპრანო. ასევე ტექსტის გაჟღერებისას სხვადასხვა ალელატორული კვადრატის ერთმანეთზე დაფენით ვიღებთ "პოლიმრეს". ალელატორულ კვადრატებში ტექსტი დაშლილია და გადანაწილებულია სხვადასხვა ხმაში. ამ დროს ალელატორულ კვადრატთა ერთიან ჟღერადობას ემატება სოლისტი, რომელიც მღერის ფსალმუნის ტექსტს, რითაც ითავსებს მკითხველის ფუნქციას, მაგალითად XIV ფსალმუნში.

### დასკვნა:

როგორც ვახსენეთ ერთ შემთხვევაში კომპოზიტორის მიერ ვერბალური ტექსტის გამოყენების ხერხები დამოკიდებულია ავტორისეულ ჩანაფიქრზე. მეორე შემთხვევაში კი ვერბალური ტექსტის გამოყენების ხერხი წარმოადგენს იდეას, რომელზეც ეწყობა ნაწარმოების დრამატურგია.

კომპოზიტორი ინდივიდუალურად და ორიგინალურად აღიქვას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვერბალური ტექსტის შინაარსს, განწყობას, ინტონაციას, ჟღერადობას, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ენის ჟღერადობის სპეციფიკასთან. ასევე მაკა ვირსალაძისთვის მნიშვნელოვანია სიტყვის ტემბრი რომლის ჟღერადობა მონაწილეობს მთლიან მუსიკალურ სონორში და ავტორს ეხმარება მსმენელისთვის განწყობის შექმნაში. ყოველივე ეს კი ავტორისეული ასოციაციური წარმოდგენებიდან გამომდინარეობს, რადგან კომპოზიტორი მუსიკალური ჩანაფიქრის გათვალისწინებით, ანუ იდეის საფუძველზე არჩევს ვერბალურ ტექსტს კონკრეტული ნაწარმოებისთვის.

როგორც ვხედავთ კომპოზიტორი მუშაობს ვერბალური ტექსტის ჟღერადობის საკითხებზე, ასევე ტექსტის გაჟღერების სამემსრულებლო ხერხებზე, სადაც უპირატესად ლაპარაკის სხვადასხვა ვარიანტია მოცემული განსხვავებულ სონორში განსხვავებული დინამიკით.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1975

არუთინოვი-ჯინჭარაძე დ. ნადარეიშვილი მ., მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, II გამოცემა 2012

ვირსალაძე მ., ინტერვიუ ავტორთან, 2011, თბილისი

ნაგორსკაია ტ., თანამედროვე სანოტო დამწერლობა. თბილისი, 1992

Супонева Г. И., Проблемы нотации в музыке XX века. Москва: Российская академия музыки им. Гнесиных, 1993

ცხრა მაგალითი

---

**Article received 2016-08-01**